თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

მემანიშვილი ვახტანგი

თემა: შეიარაღებული ძალები მშვიდობიანობის დროს

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0177, საქართველო.

2020 წელი, ივლისი

საიდენტიფიკაციო ნომერი:

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ავტორის ხელმოწერა:

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

ჩვენ ქვემორე ხელმომწერნი ვადასტურებთ რომ გავეცანით ვახტანგ მემანიშვილის მიერ შესრულებულ ნაშრომს „ბიოლოგიური იარაღი : „**შეიარაღებული ძალები მშვიდობიანობის დროს**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დაცვის თარიღი:

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული

განვითარების სამსახურის უფროსი _____

რეცენზენტი: _____

რეზიუმე

შეიარაღებული ძალები არის სახელმწიფოსა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელსაც აკისრია დაცვისა და მხარდაჭერის ფუნქციები. მსოფლიო შეიარაღებული ძალების უმეტესობა ორგანიზებულია მსგავსი პრინციპებითა და მეთოდებით იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ისინი აშკარად ანტაგონისტურ შტაბეჭდილებებს ტოვებენ. ევრო-ატლანტიკური სივრცის ქვეყნების შეიარაღებული ძალების აბსოლუტური უმეტესობა უმნიშვნელო განსხვავებების გამოკლებით, იდენტურია. არამარტო მეგობრული და კოალიციური ძალების, ასევე მოწინააღმეგე ქვეყნების შეიარაღებული ძალების სტრუქტურისა და არქიტექტურის მსგავსება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კონკრეტული სფეროებიდან მომავალი საფრთხეები არ შეიძლება დარჩეს პასუხგაუცემელი. ტერმინი „შეიარაღებული ძალები“ შესაძლოა იყოს შეცვლილი ან ჩანაცვლებული, თუმცა სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება აღნიშნული ან მისი ფუნქციის შემსრულებელი ინსტიტუტის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, შეიარაღებული ძალების მოვალეობებს სრულად ითავსებს თავდაცვის ძალები და მისი მართვის შტაბი. შესაბამისად, წარმოდგენილ ნაშრომში, რომელშიც განხილულია საქართველოს შეიარაღებული ძალების არქიტექტურა, ტერმინი „თავდაცვის ძალები“ გაიგივებულია ტერმინ „შეიარაღებულ ძალებთან“. თავის მხრივ, საქართველოს თავდაცვის ძალების სტრუქტურა და ორგანიზაციის საკითხები შესაბამისობაშია ევრო-ატლანტიკურ სტანდარტებთან და ეფუძვნება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების პრინციპებს, როგორც ტაქტიკურ, ისე ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე. ისევე როგორც მსოფლიოს მოწინავე შეიარაღებული ძალები, საქართველოს თავდაცვის ძალები აქტიურ საქმიანობას ეწევა, როგორც მშვიდობიანობის ისე ომიანობის დროს და ასევე, აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებში. შეიარაღებული ძალების საქმიანობა განაწილებულია გვარეობრივ დეპარტამენტებზე, რომლებიც ზრდიან უწყების მობილურობისა და ეფექტურობის ხარისხს. მსოფლიოში არსებული

შეიარაღებული ძალების უმეტესობა დაყოფილია რვა გვარეობრივ დეპარტამენტად და, ამას გარდა, უფლებამოსილია შესაბამისი გარემოებების არსებობისას დაიქვემდებაროს ნებისმიერი დაცვის, უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი ორგანოები. როგორც წესი, შეიარაღებული ძალები ემყარება სამ სივრცეში მობილურობის პრინციპს, ესენია: ჰაერი, წყალი და მიწა. თუმცა მსოფლიოს გლობალური გამოწვევები ცხადჰყოფს, აღნიშნული სამი სივრცის რაოდენობრივ ან სივრცით გაზრდას. კერძოდ, 21-ე საუკუნეში შესაძლოა დადგეს კოსმოსური ან ვირტუალურ სივრცეში მოქმედი გვარეობის არსებობის აუცილებლობა და ამ მიმართულებით ზესახელმწიფოების შეიარაღებული ძალები კონკრეტულ ნაბიჯებს დგამენ. საქართველოს თავდაცვის ძალებს გააჩნია ყველა ზემოთ აღნიშნული ძირითადი გვარეობები და სამივე სივრცეში მობილურობა. ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიოს შეიარაღებული ძალები, საქართველოს თავდაცვის ძალები ეწევა პრევენციულ მუშაობას მშვიდობიანობის დროს რაშიც აქტიურად არის ჩართული მისი დაზვერვისა და ოპერაციების დეპარტამენტები. გარდა აღნიშნული საქმიანობისა, თავდაცვის ძალების ყველა დეპარტამენტი მუშაობს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების მუდმივ დახვეწასა და შენარჩუნებაზე, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს ქვეყანას პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ჩართული იყოს მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებში. სამოქალაქო მხარდაჭრის და სტაბილურობის ოპერაციებში მონაწილეობა დადებითად აისახება, როგორც მსოფლიო მშვიდობის კონტრიბუციაში შეტანილ წვლილზე, ასევე საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე. საქართველოს თავდაცვის ძალები მუდმივად მუშაობს დაქვემდებარებული ქვედანაყოფებისა და პირადი შემადგენლობის საგანმანათლებლო დონის ამაღლებსა და ევრო-სტრანდარტებთან შესაბამისობაზე. აგრეთვე, აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სტანდარტებისა და ღირებულებების დაცვასა და უზრუნველყოფაზე. შეიარაღებული ძალების მიერ შესრულებული მოქმედებებისა და ღონისძიებების აბსოლუტური უმეტესობა სრულდება მშვიდობიანობის დროს. შეიარაღებული ძალების სრულყოფილი ფუნქციონირება

ომიანობის დროს მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი დროის კორიდორების და მშვიდობიანობის დროს შემუშავებული მოქმედებების სტანდარტებით მიმდინარეობს. რომაელი ფილოსოფოსის პუბლიუს ფლავიუს ვეგეტიუს რენატუსის გამოთქმა „Si Vis Pacem, Para Bellum“ („თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის.“) სრულად ასახავს მსოფლიოს შეიარაღებული ძალების მოქმედების პატერნს.

Resume

The Armed Forces are an important institution of the state and society which have the functions of protection and support. Most of the world's Armed Forces are organized according to similar principles and methods, even when they clearly produce antagonistic impressions. The vast majority of Armed Forces in the Euro-Atlantic space countries are identical, with the exception of minor differences. The similarity in the structure and architecture not only of the friendly and coalition forces, but also of the Armed Forces of the opposing countries, is due to the fact that threats from specific regions can not go unanswered. The term "Armed Forces" may be changed or replaced, but the normal functioning of the State is, in fact, impossible without the institution performing its function. In the case of our country, the duties of the Armed Forces are fully integrated by the defense forces and their headquarters. Accordingly, in the paper presented, which discusses the architecture of the Georgian Armed Forces, the term "Defense Forces" is equivalent to the term "Armed Forces." For its part, the structure of the Georgian Defense Forces and the organization's issues are in line with Euro-Atlantic standards and are based on the principles of the United States Armed Forces at both the tactical, operational and strategic levels. Like the world's leading Armed Forces, the Georgian Defense Forces are active in both peace and war and are actively engaged in international peacekeeping operations.

The activities of the Armed Forces shall be distributed to the relevant departments, which shall increase the mobility and efficiency of the Agency. The majority of the world's Armed Forces are divided into eight departments and are also entitled to subordinate any defense, security and law enforcement agencies in the event of appropriate circumstances. As a rule, the Armed Forces are based on the principle of mobility in three areas, namely air, water and land. However, the quantitative or spatial increase of these three spaces is demonstrated by the global challenges of the world. In particular, in the 21st century, there may be a need for the existence of family structures acting in space or in virtual space, and special steps are being taken in this direction by the Armed Forces of the super-powers. The Georgian

Defense Forces have all of the above-mentioned major families and mobility in all three spaces. Like the rest of the world's Armed Forces, the Georgian Defense Forces are engaged in preventive peacetime work, with the involvement of its intelligence and operational departments. In addition to these activities, all Defense Forces departments are working to continuously improve and maintain the capabilities of the Defense Forces, enabling our country to participate in peacekeeping operations with partner countries. Participation in civilian support and stability operations has a positive impact on both the contribution to world peace and the international image of Georgia. The Georgian Defense Forces are constantly working to raise the level of education of subordinate units and personnel and to bring them into line with the Euro standards. It also works actively to protect and safeguard the standards and values of international humanitarian law. The vast majority of measures and actions taken by the Armed Forces are carried out in peacetime. The full functioning of the Armed Forces during the war is in line with the standards of more or less peaceful time corridors and actions developed during the peace period. The quotation from the Roman philosopher Publius Flavius Vegetius Renatus "Si Vis Pacem, Para Bellum" ("If you want peace, prepare for war") fully reflects the pattern of action of the world's Armed Forces.

შინაარსი

შესავალი.....9

თავდაცვის ძალები და გენერალური შტაბი.....10

პერსონალი (J-1).....14

დაზვერვა (J-2).....15

ოპერაციები (J -3) 32

ლოგისტიკა (J-4) 36

გეგმები (J-5).....37

კავშირგაბმულობა (J-6).....39

საბრძოლო მომზადება და სამხედრო განათლება (J-7) 40

სამედიცინო ელემენტი.....42

სამოქალაქო და მხარდამჭერი ოპერაციები.....43

დასკვნა 46

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.....47

შესავალი

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია შეიარაღებული ძალების აგებულება, ფუნქცია, ადგილი სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, შესაძლო გამოწვევები და მათი აღმოფხვრის ან პრევენციის საშუალებები.

თემის კვლევის საგანია შეიარაღებული ძალების მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში და შესაბამისობა თანამედროვე და მომავლის გამოწვევებთან, რაც, რა თქმა უნდა, მშვიდობიანობის დროს მის მოქმედებებში ნათლად აისახება. საქართველოს თავდაცვის ძალები შედარებულია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, წარმოადგენს ნატოს ქვეყნების ძალოვანი სისტემის ეტალონს. ნაშრომში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მიმოხილულია ოფიციალური დოკუმენტები, სტატიები და წიგნები. საზოგადოების ნებისმიერი სფეროს საქმიანობა საჭიროებს მინიმუმ უსაფრთხო გარემოს და საერთაშორისო ურთიერთობები რეალური თავდაცვისუნარიანობის გარეშე საფუძველგამოცლილია. თემის ამოცანაა, შეიარაღებული ძალები იყოს უფრო გამჭვირვალე და ნაკლებად ბუნდოვანი, ხოლო სამოქალაქო საზოგადოება - მეტად ინფორმირებული და ინტეგრირებული აღნიშნულ ორგანიზაციაში.

შეიარაღებული ძალები არის ორგანიზაცია, რომელიც იქმნება ეროვნული უშიშროების და თავდაცვის მოთხოვნათა შესაბამისად და აქვს საშუალება განახორციელოს უწყვეტი და შეთანხმებული საომარი და პრევენციული მოქმედებანი. მას გააჩნია სტრატეგიული, ოპერატიული, ტაქტიკური და ინდივიდუალური (სადისციპლინო) დონის სამართლებრივი დოკუმენტები რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ნორმებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას. იგი შედგება ჯგუფებისა და ქვედანაყოფებისაგან რომელთაც ხელმძღვანელობს ხელქვეითების მოქმედებებზე პასუხისმგებელი პირი. მისი პერსონალი დაყოფილია შემდეგ კორპუსებად: ოფიცრები (უმაღლესი

სამხედრო განათლება, სამეთაურო ან მისი თანაბარი პასუხისმგებლობის რგოლი), სერჟანტები (არასაბაკალავრო სამხედრო განათლება და მეტწილად გამოცდილება) და რიგით-კაპრალები (ვიწრო, სპეციალიზირებული განათლება და გამოცდილება).

არსებობს შეიარაღებული ძალების ორი ტიპი: სახელმწიფოს და აჯანყებულების.

მსოფლიოში არსებული სახელმწიფო შეიარაღებული ძალების უმეტესობა შედგება 3 ძირითადი შტოსგან. ესენია: სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალები და ყველა მათგანი ცდილობს იყოს ეფექტური და უნარიანი თავდასხმის, თავდაცვის, სამოქალაქო მხარდაჭერის და სტაბილურობის ოპერაციების შესასრულებლად.

21-ე საუკუნის მსოფლიო დიდი ხანია არ დამდგარა გლობალური გამოწვევების წინაშე და ცდილობს საზოგადოების აზროვნების დემილიტარიზაციას (რაც მისი მხრიდან ხშირად რადიკალურ მიდგომებში გამოიხატება), თუმცა შეიარაღებული ძალების საზოგადოების ყოველდღიურობაში მეტი ჩართვა ნიშნავს არა მილიტარისტული საზოგადოების შენებას, არამედ ორიენტირებულია საზოგადოების უსაფრთხოებაზე. გლობალური კრიზისების მენეჯმენტს საგრძნობლად ასუსტებს, არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების მათში ჩაურთველობა, არამედ არსებული ზოგადი შიშისმომგვრელი, ბუნდოვანი და ნეგატიური შეხედულებები შეიარაღებულ ძალებზე.

თავდაცვის ძალები და გენერალური შტაბი

ტერმინი "შეიარაღებული ძალები" ფართო გაგებისაა და თავის თავში აერთიანებს როგორც თავდაცვით, ისე სამართალდამცავ და უსაფრთხოების ძალებს. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში გაგვაჩნია დეცენტრალიზებული სისტემა და თავდაცვის

ძალები არის უწყება რომელიც კრიზისებისა და ომიანობის დროს ასრულებს შეიარაღებული ძალების ფუნქციას და თავისი მმართველობის ქვეშ აერთიანებს ყველა დანარჩენ ბძროლისუნარიან ძალებს, ხოლო მშვიდობიანობის დროს მუშაობს წინმსწრებ გეგმებზე და პრევენციაზე. ანუ არსებითად ასრულებს იგივე ფუნქციას და გააჩნია სხვა, ნაკლებად აგრესიული ოფიციალური დასახელება.

„ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანებისა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს თავდაცვის ძალები (70-ე მუხლის მე-3ქვეპუნქტი).

თავდაცვის ძალები მოქმედებენ თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, კანონით დადგენილი წესით, ხოლო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პრემიერ მინისტრის ბრძანებით[1]

საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში შედის თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები საქარველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თავდაცვის ძალები ყალიბდება, კომპლექტდება და აღიჭურვება სამხედრო ოპერაციების სრული სპექტრისათვის. არსებობს შეიარაღებული ძალების მოქმედების 3 დონე (ომის დონეები): სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური.

თავდაცვის ძალების მეთაური, ძირითადად, მოქმედებს სამხედრო-სტრატეგიულ და სამხედრო-ოპერატიულ დონეზე. სამხედრო ოპერატიული დონე ძირითადად პასუხისმგებელია სამხედრო ტაქტიკური მოქმედებების სამხედრო სტრატეგიულ დონესთან შესაბამებაზე. თავდაცვის ძალების მეთაური და ზემდგომი სტრუქტურები ერთმანეთთან კოორდინაციით განსაზღვრავენ სტრატეგიულ მიზნებსა და დავალებებს, რომელთა აღსრულებასაც ზემდგომი სტრუქტურები თავდაცვის ძალებს

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 70, თავდაცვის ძალები

დააკისრებენ კონკრეტულ დროს. თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები ორგანიზებული არიან თავდაცვის ძალებისა და გენერატლური შტაბის მოდელის მიხედვით, რაც აიძულებს კოორდინაციას ზემდგომი ქვედანაყოფების მიერ შედარებით მცირე ზომის დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებზე, რის საფუძველზეც ეფექტურად მიიღწევა ოპერატიული და სტრატეგიული მიზნები.

თავდაცვის ძალების გამოყენებაზე უფლებამოსილი პირი ამოცანის შესრულების მიზნით თავდაცვის ძალებს აძლიერებს სხვა უწყებების სტრუქტურული ერთეულებით.

სრული სპექტრის ოპერაციების საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად შესრულებისათვის თავდაცვის ძალებს გააჩნია ერთობლივი ფუნქციები, რომლებიც ასევე დაყვანილია ყველა დაბალი დონის ქვედანაყოფამდე, რომელსაც შეუძლია ოპერატიულ გარემოში მიიღოს ამოცანა და იყოს პასუხისმგებელი მის შესრულებაზე. ეს ფუნქციებია: მართვა და კონტროლი, დაზვერვა, ცეცხლი, გადაადგილება და მანევრი, დაცვა, უზრუნველყოფა.

საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბი ფორმირდება ხდება ქვემოთ აღწერილი ორგანიზაციული სტრუქტურით, რომლის საბაზო ერთეულებს წარმოადგენენ არსებული გენერალური შტაბის შემდეგი ძირითადი დეპარტამენები: პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი (J-1), დაზვერვის დეპარტამენტი (J-2), ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტი (J-3), ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი (J-4), სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი (J-5), კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი (J-6), სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი (J-7) და სამედიცინო დეპარტამენტი.

საომარ ვითარებაში თავდაცვის ძალები ახდენს გენერალური შტაბის ფორმირებას უკვე არსებული ფუნდამენტალური დეპარტამენტების საფუძველზე.

თავდაცვის ძალებს, როგორც მსოფლიოში არსებული შეიარაღებული ძალების უმეტესობას გააჩნია მის მოქმედებებზე და დაქვემებარებულებზე პასუხისმგებელი

პირი. აგრეთვე, სამეთაურო საკვანძო რგოლი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მართვა და კონტროლი. ესენი არიან: თავდაცვის ძალების მეთაური, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე (მოადგილეები), თავდაცვის ძალების მთავარი სერჟანტი და თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის უფროსი.

თავდაცვის ძალების მეთაური თავდაცვის ძალების ჩამომყალიბებელი უფლებამოსილი პირის წინაშე სრულადაა პასუხისმგებელი. ასევე, იგი პასუხისმგებელია კრიზისებისა და საომარი ვითარების დროს იყოს კოორდინაციაში დანარჩენ სახელმწიფო უწყებებსა და ორგანოებთან, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გაერთიანებული შტაბის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში.

თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, რომელიც ვითარებიდან გამომდინარე, მეთაურს შესაძლებელია ჰყავდეს ერთზე მეტი. მოადგილე შესაძლოა ასრულებდეს სპეციალურ მოვალეობებს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილის წარმომადგენლის მოვალეობას, თავდაცვის ძალების მეთაურის მხარდამჭერ ფუნქციას, შესაძლოა მას გადაეცეს თავდაცვის ძალების მეთაურის უფლებამოსილება მეთაურის ქმედუნარიანობის დაკარგვის ან სხვა რაიმე სახით საკუთარი უფლებამოსილების შეუსრულებლობის გამო. იგი ვალდებულია ხელს უწყობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და დაქვემდებარებულებამდე მათ დაყვანას. შესაძლოა დაევალოს თავდაცვის ძალების დაგეგმვის პროცესის კონკრეტული ასპექტებისა და თავდაცვის ძალების სტრუქტურული ერთეულების მოქმედებების ან ფუნქციების ზედამხედველობა.

თავდაცვის ძალების მთავარი სერჟანტი წარმოადგენს თავდაცვის ძალების მეთაურის ერთ-ერთ მთავარ მრჩეველს და შეუძლია სამხედრო ოპერაციების რაიონში თავდაცვის ძალების მეთაურის ნდობით აღჭურვილი დამკვირვებლის მოვალეობის შესრულება. იგი ასევე დიდ როლს ასრულებს თავდაცვის ძალების სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობაში და თავდაცვის ძალების არაოფიცერი პირადი შემადგენლობის ინტერესების დაცვასა და წარმოდგენაში.

თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის უფროსი არის საშტაბო პროცედურების და საშტატო კულტურის ძირითადი მაინტეგრირებელი პირი. მისგან მომდინარე ხედვები და მიდგომები ცენტრალიზებულად გადაეცემა ყველა დაქვემდებარებული ქვედანაყოფების შტაბებს და, შესაბამისად, მხარს უჭერს მეთაურის მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

თავდაცვის ძალებისა და გაერთიანებული შტაბის სრულყოფილ ფუნქციონირებისათვის, როგორც მშვიობიანობის ისე საომარი მოქმედებების დროს, აუცილებელია არსებული გვარეობრივი დეპარტამენტების კოორდინაცია და სინქრონიზაცია. დეპარტამენტები ურთიერთშეთანხმებით ახდენენ საკუთარი პასუხისმგებლობის სფეროებში დაგეგმვას, მართვასა და კონტროლს.

პერსონალი (J-1)

თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-1, პერსონალი პასუხისმგებელია თავდაცვის ძალების პერსონალით უზრუნველყოფის მართვაზე, ოპტიმიზებასა და სინქრონიზებაზე სამხედრო ოპერაციის აღსრულების დროს. J-1, პერსონალი, თვალყურს ადევნებს თავდაცვის ძალების სტრუქტურულ ცვლილებებს და პირადი შემადგენლობის თანამდებობრივ გადაადგილებებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს თავდაცვის ძალების მიმდინარე და შესასრულებელ ამოცანებზე. იგი არის მეთაურის ძირითადი დამხმარე ძალების დაკომპლექტების, პერსონალის მზადყოფნისა და პერსონალის მომსახურების მართვაში.

J-1 დეპარტამენტი თავდაცვის დანარჩენ დეპარტამენტებთან შეთანხმებით ორგანიზებას უწევს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს,

როგორიცაა: რეკრუტირება, დაკომპლექტება, აღრიცხვისა და როტაციის (ჩანაცვლების) გეგმები; პერსონალის მართვის ცენტრის ჩამოყალიბება და ამოქმედება; ხელფასი და დაწინაურების საკითხები, საფოსტო ოპერაციები; ეთიკა, ყოველდღიური ყოფა და დასვენება; დანაკარგების შესახებ მოხსენება; პერსონალის ეფექტურობის შეფასება; დაჯილდოების საკითხები, ასევე სამოქალაქო პერსონალი. მონიტორინგს უწევს პირადი შემადგენლობის სამხედრო განათლების მიმართულებებს, იურიდიულ და საკონტრაქტო საკითხებს, რუტინულ ბიუროკრატიას. იგი ხელს უწყობს პირადი შემადგენლობის აღრიცხვისა და მართვის გასაუმჯობესებელ ელექტრონული სისტემების ინტეგრირებას.

J-1 დეპარტამენტი მშვიდობიანობის დროს მიმართულებას აძლევს დაქვემდებარებული ქვედანაყოფების ანალოგიურ სამსახურებს და ზრუნავს მათ პროფესიულ სრულყოფაზე. მხარს უჭერს პერსონალის გადინების შეჩერების, არაკომბატანტთა ევაკუაციების ორგანიზების დაკარგული/დაკავებული სამხედრო ტყვედ მყოფი პირადი შემადგენლობის დაბრუნების ღონისძიებებს. იგი მონაწილეობას იღებს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების ყველა ფაზაში. ასევე, შეაქვს საკუთარი წვლილი დაგეგმვის ჯგუფის მიერ თავდაცვის ძალების მეთაურის ვარაუდებისა და გეგმების განვითარების პროცესში.

დაზვერვა (J-2)

თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დაზვერვის დეპარტამენტი ასრულებს მხარდამჭერ ფუნქციას, აგროვებს, ამუშავებს, იყენებს, უკეთებს ანალიზს და ავრცელებს გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის

მნიშვნელოვან ინფორმაციას. დაზვერვა მოწინააღმდეგეზე დაკვირვების მზით ადგენს მის სავარაუდო ჩანაფიქრს, უნარიანობას, სამომავლო გეგმებს და ამ ყველაფერს რეკომენდაციების სახით აწვდის თავდაცვის ძალების მეთაურს. მას აკისრია წამყვანი როლი ოპერატიული გარემოს სადაზვერვო ოპერაციების სფეროში. გააჩნია განშტოებული დისციპლინები და მრავალფეროვანი წყაროები. დაზვერვის დისციპლინებია:

- გეოსივრცითი დაზვერვა
- ადამიანური რესურსებით დაზვერვა
- რადიოელექტრონული დაზვერვა
- გაზომვითი და მახასიათებლებით დაზვერვა
- ღია წყაროებით დაზვერვა
- ტექნიკური დაზვერვა
- კონტრდაზვერვა

გეოსივრცითი დაზერვა გულისხმობს ყველა ხელთ არსებულ საშუალებას რომლის მიხედვითაც შესაზლებელია ადგილმდებარეობისა და გარემოს შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვება მოწინააღმდეგის ან საკუთარ ტერიტორიაზე. მათ შორის შესაძლოა მოიცავდეს წარსულის ან სამომავლო გეოსივრცით თავისებურებებს ისეთებს როგორიცაა რელიეფის ცვლილება და მეტეოროლოგიური პირობები.

ადამიანური რესურსით დაზვერვა არის უშუალოდ პირადი შემადგენლობის მიერ წარმოებული სადაზვერვო მოქმედებები, რომლის შედეგადაც ხდება საჭირო ინფორმაციის მიღება და დამუშავება.

რადიოელექტრონული დაზვერვა ანუ დაზვერვა წარმოებული კიბერ და რაიოელექტრონული გზით. ეს შეილება იყოს მოწინააღმდეგის სიხშირეების განუწყვეტლივ მონიტორინგი და სხვა ციფრული საშუალებების საკუთარი ძალებისთვის სასარგებლოდ კონტროლი.

გაზომვითი და მახასიათებლებით დაზვერვა წარმოადგენს ტოპოგრაფიული საშუალებებით შესრულებულ სადაზვერვო სამუშაოებს.

ღია წყაროებით დაზვერვა გულისხმობს ნებისმიერი საჯარო საშუალებების მათ შორის ინტერნეტითა და სოციალური ქსელებით დაზვერვის საშუალებას.

ტექნიკური დაზვერვა არის ტექნიკური საშუალებებით, გეოსივრცითი და რადიოელექტრონული საშუალებების კომბინაციით წარმოებული დაზვერვა.

კონტრდაზვერვა წარმოადგენს მოწინააღმდეგის სადაზვერვო საშუალებების და შესაძლებლობების პრევენციისათვის და გასანეიტრალებლად შესრულებულ ღონისძიებებს.

J-2 დაზვერვის დეპარტამენტს მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს ეფექტური ფუნქციონირებისათვის შესაძლოა გააჩნდეს შემდეგი ჯგუფები (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება). ესენია:

- კონტრდაზვერვის/ადამიანური რესურსებით დაზვერვის ჯგუფი J-2X
- მოპოვებული მასალებისა და დოკუმენტების ექსპლუატაციის ჯგუფი
- დაკითხვისა და უკუბრიფინგების ჯგუფი
- პარტნიორ ქვეყნებთან კოორდინაციის ჯგუფი
- ინფორმაციის გავრცელების ჯგუფი
- სადაზვერვო ოპერაციების უჯრედი
- გეოსივრცითი სადაზვერვო მხარდაჭერის უჯრედი

ზოგადად, დაზვერვის გვარეობას მშვიდობიანობის დროს შესაძლოა უფრო აქტიური მუშაობა უწევდეს, ვიდრე ომიანობის დროს. მათ შორის ბევრია დამოკიდებული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის საქმიანობაზე სამოქალაქო მხარდაჭერისა და სტაბილურობის ოპერაციების დროს, როდესაც შეიარაღებულ ძალებს მეტი სიფრთხილითა და საკუთარი უსაფრთხოების ხარჯზე, მეტი დიპლომატიით უწევთ მოქმედება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ან ამბოხებულთა შესაჩერებლად/მხარდასაჭერად.

სამშვიდობო და მხარდამჭერ ოპერაციებში დაზვერვა შესაძლოა ითავსებდეს უსაფრთხოებისა და სამართალდამცავის ფუნქციებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზვერვის მიზანია მეთაურისა და შტაბის მხარდაჭერა მოწინააღმდეგეზე, ადგილმდებარეობაზე, ამინდსა და სამოქალაქო საკითხებზე სიტუაციაში გარკვევის მიზნით. დაზვერვა მხარს უჭერს ოპერაციების დაგეგმვას, მომზადებას, შესრულებასა და შეფასებას. შეიარაღებული ძალები დაზვერვის მეშვეობით ქმნიან დაზვერვის საბრძოლო ფუნქციას.

დაზვერვის ლიდერები და დაზვერვის ანალიტიკოსი ეხმარებიან მეთაურს დროული ანალიზის წარმოებაში და დაზვერვის საბრძოლო ფუნქციის ეფექტურად და გონივრულად მოქმედებაში.

დაზვერვა ეხმარება მეთაურს, ოპერატიულ გარემოზე წარმოდგენის შექმნაში, საკუთარი ძალების ორგანიზებასა და ოპერაციების კონტროლში, რათა მიზანი იქნეს დროსა და სივრცეში ეფექტურად მიღწეული.

მოწინააღმდეგისა და ოპერატიული გარემოს შესაბამისი ასპექტების ზუსტი შეფასებით, საფრთხის დროული შეტყობინებით, ანალიტიკური მუშაობით დაზვერვას შეაქვს ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ძალების დაცვასა და შენარჩუნებაში.

პროგნოზირებადი შეფასებები ხელს უწყობს მეთაურის წარმოსახვას და მხარს უჭერს გადაწყვეტილებების მიღებას. ლიდერების მიერ მიწოდებული პროგნოზირებადი შეფასებები განიხილავს მოწინააღმდეგის ყველა ასპექტს, ადგილმდებარეობას, ადგილსა და სამოქალაქო საკითხებს. სადაზვერვო ანალიზი შეიძლება იყოს უკიდურესად შრომატევადი და რთული საქმე. იგი მიმართულია მოწინააღმდეგის შესაძლო მოქმედებების მოდელირებაზე და ყველაზე სახიფათო სამოქმედო გეგმის ამოცნობაზე.

დაზვერვის მახასიათებლებია:

- სიზუსტე
- დროულობა
- გამოყენებადობა
- სრულყოფილება

- დეტალურობა
- საიმედოობა
- შესაბამისობა
- პროგნოზირებადი/მომავალზე ორიენტირებული
- მორგებული

დაზვერვა მეთაურს აწვდის ზუსტ, დაბალანსებულ, სრულ და ობიექტურ სურათს მოწინააღმდეგესა და ოპერატიული გარემოს სხვა ასპექტებზე. ის შეიძლება გამომდინარეობდეს მრავალი წყაროსა და სადაზვერვო დისციპლინებისაგან, რაც ამცირებს შესაძლო ცრუ ინფორმაციასა და მცდარ ანალიზებს.

დაზვერვა აღკვეთს მოწინააღმდეგის მოულოდნელ ქმედებებს და უზრუნველყოფს ოპერაციების ადრეულ მხარდაჭერას. შენარჩუნებული უნდა იქნეს ინფორმაციის განუწყვეტელი შემოდინება. დაზვერვის პროდუქტები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რათა დროულად გაკეთდეს შეფასებები და მიღებულ იყოს გადაწყვეტილება.

მისი პროდუქტი უნდა იყოს ზუსტი და გამოყენებადი მონაცემთა ბაზისთვის და საჩვენებლად, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ ანალიზს, დაზვერვის შემდგომ წარმოებას, პროდუქტების მთელ შტაბთან გაზიარებას და ოპერაციის დროს გამოყენებას.

დაზვერვის ბრიფინგები და პროდუქტები უნდა იყოს დასრულებული სახის და არა ნაწილობრივი ინფორმაციის შემცველი.

ბრიფინგები და პროდუქტები უზრუნველყოფს დეტალურობის დონის სირთულეს, რათა პასუხი გაეცეს მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია დაზვერვის პროდუქტები იყოს მიუკერძოებელი და დაუმახინჯებელი.

აღნიშნული სამსახური უნდა იყოს ოპერატიული გარემოებებისა და მეთაურის მოთხოვნების შესაბამისი.

დაზვერვამ წინსწრებით უნდა შეატყობინოს მეთაურს მოწინააღმდეგის სავარაუდო ჩანაფიქრების, გაზრდილი ან შემცირებული შესაძლებლობების შესახებ და განსაზღვროს ქვედანაყოფის მომავალი სადაზვერვო საჭიროებები.

ინფორმაცია უნდა იყოს ნათელი და ლაკონური, მეთაურის პრიორიტეტების დამაკმაყოფილებელი, აადვილებდეს სიტუაციაში გარკვევას, იყოს გამოსადეგი გადაწყვეტილებების მისაღებად.

დაზვერვა, როგორც საბრძოლო ფუნქცია, უფრო მეტია ვიდრე სამხედრო დაზვერვა. იგი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ ამოცანებსა და სისტემებს, რომლებიც ხელს უწყობს მოწინააღმდეგესა და ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ და სამოქალაქო საკითხებში გარკვევას.

საჰაერო, საზღვაო და შეგროვებითი სისტემების სივრცითი კომბინაციით ანალიტიკური სამსახურები და ელემენტები უზრუნველყოფენ სრულყოფილ დაზვერვას.

მეთაურების ხედვა დაზვერვის საბრძოლო ფუნქციაზე მოიცავს:

- ოპერატიული გაურკვევლობის შემცირება. დაზვერვა არ გამორიცხავს გაურკვევლობას. მეთაურები განსაზღვრავენ გონივრულ რისკებს, რომლებიც თან ახლავს ნებისმიერ ოპერაციებს.
- ბალანსის განსაზღვრა მოცემულ დროს, ინფორმაციის შეგროვებასა და ოპერატიულ აუცილებლობას შორის. საჭიროა დრო იმისათვის, რომ შეგროვდეს ინფორმაცია და შემუშავდეს დეტალური და ზუსტი სადაზვერვო პროდუქტი.
- რესურსებისა და შესაძლებლობების პრიორიტეტების განსაზღვრა.
- საბრძოლო ფუნქციისათვის რესურსების მოძიება და პრიორიტეტების შესაბამისობა. აუცილებელია სათანადო ქსელი და წვდომა/ხელმისაწვდომობა, რათა დაკმაყოფილდეს მეთაურის მოთხოვნები.
- შეგროვების ორგანული და მხარდამჭერი საშუალებების გამოყენება, ასევე დაგეგმვის, კოორდინაციისა და მკვეთრი მოთხოვნების შემუშავება

დაზვერვის სრული პროცესის წარსამართად.[1]

დაზვერვის საბრძოლო ფუნქციის ამოცანები ეხმარება მეთაურს მოწინააღმდეგისა და ოპერატიული გარემოს შესაბამის ასპექტებში შეცნობაში. ეს ამოცანები მოითხოვს მეთაურისა და შტაბის მონაწილეობას, ურთიერთდაკავშირებულია და ტარდება ერთდროულად.

დაზვერვის საბრძოლო ფუნქციის ამოცანებია:

- დაზვერვის მხარდაჭერა ძალთა ჩამოყალიბებაში.
- დაზვერვის მხარდაჭერა სიტუაციაში გარკვევისას.
- ინფორმაციის შეგროვების განხორციელება.
- დაზვერვის მხარდაჭერა მიზნებზე ცეცხლის დაგეგმვისას და საინფორმაციო შესაძლებლობებში.

ხელშეწყობა/ვითარებაში გასარკვევად - სამხედრო ოპერაციების წარმართვა დამოკიდებულია სადაზვერვო პროდუქტზე მოწინააღმდეგისა და ოპერატიული გარემოს შესაბამის ასპექტებთან დაკავშირებით. სადაზვერვო პროდუქტი ტექნიკის, ტაქტიკისა და ძალების ეფექტური გამოყენების საშუალებას აძლევს.

საფრთხე და საშიშროება - საფრთხე არის იმ პირების ან მოთამაშეების ნებისმიერი კომბინაცია, რომელთაც ჩაფიქრებული აქვთ ან შეუძლიათ დააზარალონ საკუთარი ძალები, ეროვნული ინტერესები და ქვეყანა.

დაზვერვის საბრძოლო ფუნქცია აანალიზებს ხალხს ან ჯგუფებს, ორგანიზაციებს, ეროვნებებს თუ რამდენად შეუძლიათ მათ გაანადგურონ ან დააზიანონ სიცოცხლე, დაწესებულებები, სასიცოცხლო რესურსები ან ხელი შეუშალონ ოპერაციის წარმატებით შესრულებას. საფრთხეები იყოფა კატეგორიებად, ესენია: ტრადიციული, არარეგულარული, გამანადგურებელი და კატასტროფული.

დაზვერვა შეისწავლის საფუძვლიანად საფრთხეს, თუ რა გავლენა შეიძლება მან იქონიოს ამოცანის შესრულებისას. მოწინააღმდეგის ორგანიზაციულ სახეზე აღჭურვილობაზე, წვრთნებზე ინფორმაცია აუცილებლად უნდა მიეწოდოს მეთაურსა

[1] საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, დაზვერვა, თბილისი, 2016, 19

და შტაბს. ამიტომ დაზვერვა განუწყვეტლივ მუშაობს, აკვირდება და აფასებს მოწინააღმდეგის ცვლილებებს დროთა განმავლობაში.

საშიშროებები არის ბუნებრივი მოვლენები და პირობები, რომლებიც ზემოქმედებენ დამაზიანებლად ან გამანადგურებლად სიცოცხლეზე, სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსებზე და ხელს უშლიან ოპერაციების შესრულებას. საშიშრობების გაცნობიერება ეხმარება მეთაურს მისი ოპერაციაზე შესაძლო ზეგავლენის წარმოდგენაში. საშიშროებაში იგულისხმება ადგილმდებარეობის ქიმიური დასნეულება, ექსტრემალური ამინდის მოვლენა, მზის დარტყმა, დაავადება და ა.შ.

ადგილმდებარება და ამინდი - ადგილმდებარეობისა და ამინდის ასპექტები განუყოფელია და პირდაპირ გავლენას ახდენს ერთმანეთსა და სამხედრო ოპერაციებზე.

ადგილმდებარეობის ანალიზი გულისხმობს არეალის შესწავლას ბუნებრივი და ხელოვნური მახასიათებლების მიხედვით და ოპერაციაზე მათი ზემოქმედების განმარტებას. იგი მუდმივი პროცესია. სამხედრო ასპექტებისა და ადგილმდებარეობას გაანალიზება მოიცავს შეფასებას, ანალიზს, შეგროვებას და ადგილმდებარეობის განმარტებას ბუნებრივი და ხელოვნური მახასიათებლების მხიედვით. ხშირად, სადაზვერვო ინფორმაციის ანალიტიკოსები აერთიანებენ სხვა მიმსგავსებულ ფაქტორებს ადგილმდებარეობასა და ამინდთან.

სამოქალაქო საკითხები და სოციოკულტურული თანხმობა - დაზვერვის ანალიტიკოსებს აქვთ ბერკეტები მიიღონ ინფორმაცია მრავალი განსხვავებული წყაროდან. მათ შორის ღია წყაროებიდან, რათა უზრუნველყონ პროგნოზირებადი დაზვერვა და ხელი შეუწყონ ოპერატიული გარემოს ფართო გამოყენებას.

ანალიტიკოსს შეუძლია შეადგინოს შესაბამისი ინფორმაცია ანალიზისთვის, ოპერატიული გარემოსა და ოპერატიული ცვლადების გამოყენებით. თუმცა, ოპერაციის მიღებიდან შეიარაღებული ძალები ფოკუსირებულნი არიან ასშომმ-ს (ადგილმდებარეობა, სტრუქტურები, შესაძლებლობები, ორგანიზაციები,

მოსახლეობა და მოვლენები) მახასიათებლებზე, რათა აღწერონ სამოქალაქო საკითხები, როგორც ამოცანის ცვლადი ფაქტორების შემადგენელი ნაწილი. დამატებით, ადამიანური რესურსების სისტემებს შეუძლია დეტალური ინფორმაციის უზრუნველყოფა და ანალიზი, რომელიც ეხება ოპერაციასთან დაკავშირებულ სოციოკულტურულ ფაქტორებს.

კულტურა არის ურთიერთგაგების მთავარი ფაქტორი ასშომმ-ის ყველა მახასიათებლისთვის. კულტურული თანხმობა გახდა უფრო მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენცია ჯარისკაცებისათვის. კულტურა არის საზოგადოების წევრების საერთო მრწამსის, ღირებულებების, ტრადიციებისა და ქცევების ერთობლიობა. ცალკეული პირები მიეკუთვნებიან მრავალფეროვან ჯგუფებს წარმოშობით, ასიმილაციით ან მიღწევებით. სხვა ჯგუფები გავლენას ახდენენ მათ რწმენაზე, ღირებულებებზე, დამოკიდებულებასა და შეხედულებებზე. ეს პირები ერწყმიან საზოგადოებას და მისი ჩვეულებრივი წევრები ხდებიან. ეს პროცესი ბუნებრივია ნებისმიერი საზოგადოებისათვის.

სოციოკულტურული ფაქტორები აფართოებს კულტურულ ცნობიერებას. სოციოკულტურული ფაქტორებია: სოციალური, კულტურული და ქცევითი ფაქტორები. მას ახასიათებს ურთიერთობები და საქმიანობა კონკრეტული რეგიონის მოსახლეობასთან ან ოპერატიული გარემოსთან. სოციოკულტურული კვლევა და ანალიზი უზრუნველყოფს ინფორმაციას, რაც ხელს უწყობს მეთაურისა და პირადი შემადგენლობის სიტუაციაში გარკვევას.

კულტურული და სოციოკულტურული თანხმობა (ურთიერთგაგება) ასევე მნიშვნელოვანია მრავალეროვნულ ოპერაციებში. მეთაურებმა გარკვეული დრო უნდა დაუთმონ მრავალეროვნული და მასპინძელი ქვეყნების ადათებისა და ტრადიციების, ასევე ოპერატიული პროცედურებისა და დოქტრინის შესწავლას. მრავალეროვნული სიჭრელის ერთიანობისთვის მეთაურებმა უნდა გააცნობიერონ

ნებისმიერო კულტურული განსხვავებები, ასევე განსხვავებები ბრძანებებისა და ინსტრუქციების განმარტებისას.[1]

დაზვერვის წარმოება მოიცავს ქსელში ჩართული საერთო სისტემებისგან მხარდაჭერილ მთელი სახელმწიფოს პროფესიონალ დაზვერვის სპეციალისტებს, სისტემებს, ორგანიზაციებს, ინფორმაციას, სენსორებს და პროცესს. ადზვერვის წარმოებაში უშუალოდ ჩართული ხალხი მისი ყველაზე მნიშვნელოანი ელემენტია.

თანამშრომლობა უმთავრესია დაზვერვის წარმოების განმავლობაში ანალიზის გასაკეთებლად. დაზვერვის წარმოების უმთავრესი ღირებულებაა დიდი მოცულობის ინფორმაციის ფლობა (როგორც სადაზვერვო, ისე არასადაზვერვო), ერთიანი მოქმედებების პარტნიორების მიერ გაკეთებული სპეციალური ანალიზი, შესაძლებლობა მოიპოვოს ინფორმაცია მოქმედებებში ჩართული ყველა მხარისგან და ჰქონდეს ეროვნულ შესაძლებლობებზე დაშვება.

ამოცანით მართვის ხელშეწყობისთვის ანალიტიკოსი ახდენს გავლენას დაზვერვის წარმოებაზე და ქმნის მონააღმდეგის უფრო სრულყოფილ და დეტალურ შეფასებას.

დაზვერვის საკომუნიკაციო სისტემა - მეთაურები და შტაბი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ რესურსითა და ყველა აუცილებელი საშუალებით, რათა დაეყრდნონ რეალისტურ დაზვერვასა და ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობებს. დაზვერვის კომუნიკაციების სტრუქტურა უზრუნველყოფს სპეციფიკურ დაზვერვას და კომუნიკაციების სტრუქტურებს ეროვნული დონიდან ტაქტიკურ დონემზე. აღნიშნულ სტრუქტურაში შედის ყველა ის პერსონალი, სისტემები და პროცედურები, ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ დაზვერვის დაგეგმვაში, შეგროვებაში, მომზადებაში, გავრცელებასა და წარმოებაში.

იგი მოითხოვს საიდუმლო და არასაიდუმლო ქსელების საკუთარ საშუალებებთან მიერთებას. ლიდერებმა აუცილებლად უნდა მიიღონ საჭირო რაოდენობისა და ტიპის საკომუნიკაციო მოწყობილობა და შესაბამისი კომპონენტები.

[1] საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, დაზვერვა, თბილისი, 2016, 23-24

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მათ უნდა იცოდნენ ყველა ინსტრუქცია, წესი, განკარგულება, პროლი და მითითება. ლიდერები აგრეთვე დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ ჯარისკაცები სათანადოდ არიან მომზადებულები საკომუნიკაციო სისტემების გამოსაყენებლად.

დაზვერვის წარმოების გამოყენება - დაზვერვის საბრძოლო ფუნქციის ეფექტურობა პირდაპირ დამოკიებულებაშია დაზვერვის წარმოების წვდომაზე. ქვედანაყოფები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინფორმაციითა და შესაძლებლობებით.

დაზვერვის წვდომა არის მოქმედება, რომლის განმავლობაშიც დაზვერვის სამსახურებს დროულად აქვთ საინფორმაციო მხარდაჭერა და პირდაპირ თანამშრომლობენ სხვა ქვედანაყოფებსა და სამსახურებთან, უცვლიან მათ ინფორმაციას როგორც ოპერაციის რაიონის შიგნით, ისე მის გარეთ, მიუხედავად ეშელონთან ან სარდლობასთან გეოგრაფიული სიახლოვისა.

ცოდნის მართვის (მენეჯმენტის) მნიშვნელოვანი ნაწილია გავრცელება. სწორი ინფორმაცია აუცილებლად უნდა მიედინებოდეს ზუსტ მომხმარებელთან, ზუსტ დროს, მომხმარებლის გადატვირთვის გარეშე. დაზვერვის საბრძოლო ფუნქცია იყენებს დაზვერვის პროცესს, როგორც მართვის მექანიზმს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ზუსტი ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლისთვის საჭირო დროს გამოსაყენებელ ფორმატში. დაზვერვის ლიდერებმა აუცილებლად უნდა უზრუნველყონ, რომ მომხმარებელმა ერთი და იგივე ინფორმაცია არ მიიღოს იგივე წყაროდან რამდენჯერმე. წრიულმა (ცირკულარული) მოხსენებამ შეიძლება გამოიწვიოს მცდარი ანალიზი დაზვერვის პროფესიონალებისაგან ან უარყოფითად იმოქმედოს მეთაურის გადაწყვეტილების მიღებაზე.[1]

დაზვერვის საზოგადოება (სადაზვერვო სამსახურები) - დაზვერვის საბრძოლო ფუნქციის ეფექტურობა პირდაპირ დამოკიდებულია სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლობასა და ერთიან ძალისხმევაზე. სამხედრო ოპერაციებს

[1] საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, დაზვერვა, თბილისი, 2016, 26

მნიშვნელოვანი სადაზვერვო პროდუქტებითსა და მომსახურებით მხარს უჭერს თავდაცვის სამინისტროს არასამთავრობო სამსახურები და ორგანიზაციები. პრეზიდენტის სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფა და სადაზვერვო სამსახურების ყოველდღიული მართვა სახელმწიფო სადაზვერვო სამსახურის ზოგადი პასუხისმგებლობაა. სახელმწიფო სადაზვერვო სამსახური ადგენს მიზნებსა და პრიორიტეტებს სადაზვერვო სამსახურებისთვის, ახორციელებს და მართავს სადაზვერვო ამოცანების შეგროვებას, წარმოებას, ანალიზსა და გავრცელებას.

დაზვერვის კომპეტენციების არსი გულისხმობს მოქმედებებისა და დავალებების ერთობლიობას, რომელთაც შეიარაღებული ძალები იყენებს დაზვერვის ფუნქციონირებისთვის. დაზვერვის კომპეტენციების არსი არის დაზვერვის სინქრონიზაცია, სადაზვერვო ოპერაციები და დაზვერვის ანალიზი.

დაზვერვის კომპეტენციებში შედის მზადყოფნის მაღალი დონის შენარჩუნება სამხედრო დაზვერვის ქვედანაყოფების და ჯარისკაცების მუდმივი მომზადება.

მათ პერსონალს უტარდებათ განსაკუთრებული ტექნიკური და ტაქტიკუ წვრთნები და არიან ზედამხედველობის ქვეშ. დაზვერვის ჯარისკაცები აუცილებლად უნდა იყვნენ მომზადებულები, რომ საფუძვლიანად ესმოდეთ განსაკუთრებული მნიშვნელობა, სახელმძღვანელო პრინციპები, პირობები და ტექნიკური კავშირის პროცედურები.

დაზვერვის სინქრონიზაცია არის ინფორმაციის შეგროვების ერთგვარი ,,ხელოვნება“ და დაზვერვის ანალიზის ინტეგრირება ოპერაციებთან ეფექტური და გონივრული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად. ეს ძირითადი კომპეტენცია უზრუნველყოფს დაზვერვის საბრძოლო ფუნქციის ამოცანით მართვას. დაზვერვის სინქრონიზაცია აბალანსებს დროს შეგროვებით, წარმოებით, საჭირო სიზუსტითა და სპეციფიკით, რათა დააკმაყოფილოს მეთაურისა და სხვა მოთხოვნები.

დაზვერვის ოპერაციები არის ინფორმაციის შეგროვების ოთხი ძირითადი საშუალებიდან ერთ-ერთი. დანარჩენი სამი არის: რეკოგნოსცირება, თვალთვალი და უსაფრთხოების ოპერაციები.

დაზვერვის ოპერაციები არის სამხედრო დაზვერვის ქვედანაყოფებისა და ჯარისკაცების მიერ შესრულებული დავალებები, რათა მოიპოვონ ინფორმაცია და დააკმაყოფილონ მოთხოვნების გადამოწმება.[1]

დაზვერვის ანალიზი - ანალიზი დაგეგმვისა და შტაბის მოქმედებების საფუძველია. იგი მეთაურსა და გადაწყვეტილების მიმღებს პირებს ოპერატიული გარემოს წარმოსახვის შესაძლებლობას აძლევს. დაზვერვის ანალიზი არის პროცესი, როდესაც მიმდინარე ინფორმაციასთან ინტეგრირებულია შეგროვებული ინფორმაცია. იგი მოიცავს სამ ასპექტს: კრიტიკულ აზროვნებას, გაურკვევლობასა და თანამშრომლობას.

შერწყმის ცენტრები არის ქვედანაყოფის, ორგანიზაციების ან სააგენტოების დროებითი ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც უზრუნველყოფს რესურსებს, ექსპერტიზას, ინფორმაცი-ასა და დაზვერვას, რათა მხარი დაუჭიროს მონაწილე წევრების მიერ ოპერაციების სწრაფ შესრულებას.[2]

შერწყმის ცენტრები გულისხმობს სუბორდინაციის ჰორიზონტალზე ან ვერტიკალზე არსებული ძალების, აგრეთვე, პარტნიორი ან მასპინძელი ქვეყნის სამართალდამცავი სტრუქტურების, სამოქალაქო საზოგადოების და სხვა ერთობლივ მუშაობას ინფორმაციის მოპოვებისთვის.

ოპერაციებისა და დაზვერვის პროცესი - მეთაურები ოპერაციების პროცესს იყენებენ რათა მართონ დაგეგმვისათვის აუცილებელი ცოდნა და წარმოსახვა, შეიქმნან ოპერატიული გარემოს აღქმა, ჩამოაყალიბონ და მიიღონ გადაწყვეტილებები, უხელმძღვანელონ, შეაფასონ და მართონ სამხედრო ოპერაციები. დასაზვერვო პროდუქტის გამოყენებაზე დამოკიდებულია მეთაურის მიერ ჩატარებული ოპერაციის წარმატება.

დაზვერვის პროცესის სტრუქტურა და დიზაინი მხარს უჭერს ამოცანით მართვას, მეთაურის სიტუაციაში გარკვევას და უზრუნველყოფს მას დაზვერვის

[1] საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, დაზვერვა, თბილისი, 2016, 29
[2] საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, დაზვერვა, თბილისი, 2016, 31

საჭიროებებით. განსაზღვრულ ოპერატიულ პრიორიტეტებზე ორიენტირებული მეთაური იძლევა მითითებებს და ადგენს გადაწყვეტილების წერტილებს.

გაერთიანებული დაზვერვის პროცესი შეგება ექვსი ურთიერთდაკავშირებული პროცესისაგან:

- დაგეგმვა და მიმართვა
- შეგროვება
- დამუშავება და გამოყენება
- ანალიზი და გამოცემა
- გავრცელება და ინტეგრირება
- შეფასება და უკუმოხსენება

გაერთიანებული დაზვერვის პროცესისგან განსხვავებით, საჯარისო (სამხედრო) დაზვერვის პროცესი შედგება ოთხი საფეხურისგან:

- დაგეგმვა და მიმართვა
- შეგროვება
- წარმოება
- გავრცელება

აგრეთვე მოიცავს ორ უწყვეტ მოქმედებას:

- ანალიზი
- შეფასება

დაზვერვის პროცესი მსგავსია ოპერაციების პროცესისა და შესაძლოა შესრულდეს რამოდენიმეჯერ თითოეული მოქმედების მხარდასაჭერად.

დაზვერვის პროცესი ჰქმნის პროდუქტსა და ინფორმაციას მოწინააღმდეგეზე, ადგილმდებარეობაზე, სამოქალაქო საკითხებზე, ამინდზე და მას მართავს მეთაურის მითითებებით. იგი მხარს უჭერს და მსგავსი ოპერაციების პროცესის და მოიცავს ისეთ უნიკალურ ასპექტებსა და მოქმედებებს, როგორიცაა:

- დაგეგმვისა და მიმართვის საფეხურები შეესაბამება დაგეგმვის მოქმედებებს ოპერაციების პროცესში.

- შეგროვების, წარმოებისა და გავრცელების საფეხურები შეესაბამება აღსრულების მოქმედებებს ოპერაციების პროცესში.
- შეფასება, რომელიც უწყვეტია, არის შეფასების მოქმედებების ნაწილი ოპერაციების პროცესში.

დაზვერვის პროცესი მიმდინარეობს აღნიშნული გვარეობის სამსახურების ყველა დონეზე და სრულყოფილი დაზვერვის წარმოებით მხარს უჭერს ოპერაციებს.

დაზვერვის სამსახურის მიერ მეთაურისთვის წარმოებული საქმიანობა და პროდუქტები საშუალებას აძლევს ამ უკანასკნელს ოპერაციების დაგეგმვაში, ამოცანისთის მომზადებაში, მოწინააღმდეგის სამოქმედო გეგმის ამოცნობაში, სამანევრო ძალის გამოყენებაში, ტაქტიკისა და ტექნიკის ეფექტურად გამოყენებაში, ცეცხლის ეფექტურ დაგეგმვაში, სათანადო უსაფრთხოების ზომების მიღებაში, ინფორმაციის შეგროვებაზე ფოკუსირებაში.

მეთაურის მითითებები - მეთაური მიუთითებს თუ როდის, რა ფორმატითა და რომელი სადაზვერვო პროდუქტი მოითხოვო. მიუხედავად იმისა, რომ მეთაურის მითითებები არ წარმოადგენს დაზვერვის პროცესის ნაწილს, იგი რჩება უმნიშვნელოვანეს მექანიზმად, რომელიც გამოიყენება დაზვერვის პროცესზე ფოკუსირებისთის.

დაზვერვის პროცესის საფეხურები:

- დაგეგმვა და მიმართვა
- მოთხოვნები
- დაზვერვის წვდომა
- ინფორმაციის მოთხოვნა
- მეკავშირე
- შეგროვება
- წარმოება
- გავრცელება
- ტექნიკისა და მოქმედებების წარდგენა

- დაზვერვის პროცესის შემდგომი მოქმედებები

არსებობს ორი დამოუკიდებელი და ეთმანეთტად მჭიდროს დაკავშირებული დაგეგმვის სახესხვაობა: კონცეპტუალური (შინაარსობრივი) და დეტალური დაგეგმვა. კონცეფტუალური დაგეგმვა ცხადად წარმოიდგენს ოპერატიულ მიდგომას, ოპერაციის საბოლოო შედეგს, ოპერატიულ გარემოს და მოიცავს პრობლემების გაგებას.

რაც შეეხება დეტალურ დაგეგმვას, ის დასრულებულ და პრაქტიკულ გეგმად წარმოგვიდგენს ფართო ოპერატიულ მიდგომას.

დაზვერვის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფეხურს წარმოადგენს მოთხოვნები. მოთხოვნა ეხება პრიორიტეტულ მიზნებს, ინფორმაციის შეგროვების შესახებ და იგი არსებობს სამი სახის: პრიორიტეტული დასაზვერვო მოთხოვნები და დაზვერვის მოთხოვნები და ინფორმაციის მოთხოვნები.

დაზვერვის წვდომა გულისხმობს ბიძგებითა და გაწევით მიღებადი ინფორმაციას, მონაცემთა ბაზით, ინტერნეტ გვერდებით, მაუწყებლობითი სამსახურებით და ერთობლივი საშუალებებით. იგი აგრეთვე გულისხმობს ანალიზის განაწილებას და მოიცავს სამ ასპექტს: ძებნა და მოთხოვნა, მონაცემთა მოპოვება და თანამშრომლობა.

დაზვერვის წყაროების ამოწურვის შემდეგ ქვედანაყოფები მეზობელ ქვედანაყოფებს, ზემდგომ შტაბებსა და სხვა ორგანიზაციებს წარუდგენენ ინფორმაციის მოთხოვნას.

მეკავშირეების საჭიროება შეიძლება დადგეს იმისათვის, რათა მოხდეს ოეპრაციების კოორდინაცია, სინქრონიზაცია და ინტეგრაცია, დაზვერვა, ინფორმაციის გაცვლა და განსაზღვრულ ადგილმდებარეობაზე დაცვის უზრუნველყოფა. მეკავშირეების საჭიროება აგრეთვე დგას სამშვიდობო და მხარდამჭერი მისიებისას არსებულ მრავალეროვნულ შეიარაღებულ ძალებთან.

ინფორმაციის წარმატებული შეგროვება და ზუსტი და შესაბამისი მოხსენება მხარს უჭერს დაზვერვის წარმოებას. იგი გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას,

დამუშავებასა და მოხსენებას. შეგროვებული ინფორმაცია გამოიყენება დასაზვერო ინფორმაციის ბაზისთვის და მხარს უჭერს მეთაურის ვითარებაში გარკვევას. შეგროვების მოქმედებები შეიძლება შეიცვალოს ამოცანის ფაზების მიხედვით, ქვედანაყოფის ამოცანის შეცვლის შემთხვევაში და ახალი ამოცანის მზადებისას.

დასრულებული სადაზვერვო პროდუქტის შესაქმნელად დაზვერვის სამსახურები ამუშავებენ და აანალიზებენ ინფორმაციას მრავალი წყაროს მეშვეობით. ვითარებაში გარკვევისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის ხელის შესაწყობად დასაზვერვო პროდუქტი უნდა იყოს პროგნოზირებადი, მორგებული, ზუსტი, დროული და შესაბამისი. წარმოების დროს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს დამუშავებას. ხშირად, დაზვერვის შტაბებიცდილობენ მიიღონ ინფორმაცია მეზობელი ეშელონებიდან, ზემდგომიდან, დაქვემდებარებულებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან.

გავრცელება არის მიზანმიმართული მოქმედება და უზრუნველყოფს სადაზვერვო პროდუქტის მომხმარებლისთვის მის დროულ მიწოდებას ოპერაციების მხარდასაჭერად. ოპერაციის წარმატებისთვის დაზვერვის დროულ გავრცელებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. მიღებული სადაზვერვო პროდუქტი სწორად ვრცელდება და ხელმისაწვდომია ყველა დონეზე, მას შემდეგ რაც გაანალიზდება. ამისათვის დაზვერვის სამსახურებს, როგორც წესი, გააჩნიათ გავრცელების გეგმა.

არსებობს გავრცელების შემეგი არხები: სამეთაურო გავრცელების არხები, საშტაბო გავრცელების არხები და ტექნიკური გავრცელების არხები.

დასკვნის გაკეთების გასამარტივებლად მნიშვნელოვანი პროცესია ტექნიკისა და მოქმედებების წარდგენა. იგი საშუალებას აძლევს მეთაურს ამოცანით მართვის დროს ოპერაციული გარემოს ცხადად წარმოდგენაში. მიუხედავად იმისა, რომ ეფუძვნება მეთაურის მითითებებს, ხშირად მოითხოვს შემოქმედებით გადაწყვეტილებებს კანონმდებლობისა და მიზნის შესაბამისად.

დაზვერვის პროცესის შემდგომი მოქმედებები მოიცავს ანალიზსა და შეფასებას, თუმცა ისინი განუწყვეტლივ გვხვდება დაზვერვის პროცესში. გადაწყვეტილებების

მხარდაჭერისათვის ყველა დონის ლიდერები ატარებენ ანალიზს. აგრეთვე, დაზვერვის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ხდება ანალიზის წარმოება, რაც მხარს უჭერს ნათელი მოეფინოს სადაზვერვო ვითარებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დაზვერვის სამსახურები ანალიზის მოთხოვნის მართვისათვის ადგენენ მოთხოვნის მიზანშეწონილობას და მეთაურისთვის ხელსაყრელობას, მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საუკეთესო მეთოდებს და შეგროვილი ინფორმაციის მიზანშეწონილობას.

ზოგადად ოპერაციის მსვლელობისას ვითარების შეფასება იწყება ამოცანის მიღებიდან და გასდევს მთლიან დაზვერვის პროცესს. ოპერატიული გარემოს დინამიკურობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, როგორიცაა: სამოქალაქო საკითხები და მოვლენები ინტერესის რაიონში, საკუთარი ძალის ქმედებები და საფრთხის მოქმედებები.

ოპერატიული გარემოს შესაბამისად, სადაზვერვო სამსახურები განუწყვეტლივ ახდენენ ვითარების შეფასებას და აკვირდებიან.

დაზვერვა არის საბრძოლო ფუნქცია და მოქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც აქტუალურია არამხოლოდ ომიანობის დროს, არამედ მშვიდობიანობის დროსაც განუწყვეტლივ მიმდინარეობს და ინარჩუნებს აქტუალობას.

ოპერაციები (J -3)

J-3 ოპერაციების დეპარტამენტი წარმოადგენს თავდაცვის ძალების აღმასრულებელ შტოს და უდიდესი წვლილი შეაქვს მართვასა და კონტროლში. J-3-ის დეპარტამენტი წარმოადგენს თავდაცვის ძალებისა და

გენერალური შტაბისთვის როგორც ზოგადად, ისე მისი დეპარტამენტებისთვის კოორდინაციის გრავიტაციის წერტილს.

ოპერაციების დეპარტამენტების უფროსი და მისი მოადგილეები არიან თავდაცვის ძალების მეთაურის ძირითადი მრჩევლები მიმდინარე და ყოველდღიური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ოპერაციებთან დაკავშირებულ საკითხებში.

J-3 ოპერაციების დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს (და არა მარტო):

- მონიტორინგი
- შეფასება
- დაგეგმვა
- წარმართვა
- მიმდინარე ოპერაციები
- სამომავლო ოპერაციები
- ფეთქებადსაშიში საფრთხეების კოორდინაცია
- წამყვან ლიდერებთან ურთიერთობა
- ძალთა დაცვა
- ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოაქტიური და ბირთვული ოპერაციები
- საინფორმაციო ოპერაციები
- სამოქალაქო-სამხედრო ოპერაციები

J-3 ოპერაციების დეპარტამენტი თვალყურს ადევნებს ვითარებას დინამიკაში, მიმოიხილავს გეგმის აღსრულებასთან დაკავშირებულ პროცესს, აკონტროლებს საკუთარი ძალებისა და რესურსების სტატუსს.

J-3 ოპერაციების დეპარტამენტი აფასებს მეთაურის მიერ დასახული დავალებების შესრულებისა და საბოლოო სასურველი შედეგის მიღწევის პროცესს. თვალყურს ადევნებს ოპერატიული ბრძანებების აღსრულების პროცესს და დაქვემდებარებული ქვედანაყოფების მასთან გვარეობრივად დაკავშირებული

სამსახურებისგან ითხოვს უწყვეტ შესაბამისობას ზემდგომის დასახულ მიზნებსა და ამოცანების შესრულების ხერხებთან.

J-3 ოპერაციების დეპარტამენტი თავდაცვის ძალების გაერთიანების შტაბის დაგეგმვარების პროცესში მიმდინარე ოპერატიული გეგმებისა და ბრძანების მომზადებაში შეაქვს უმნიშვნელოვანესი წვლილი.

გამომდინარე J-3 ოპერაციების დეპარტამენტი მნიშვნელობიდან დანარჩენ დეპარტამენტებთან შედარებით, იგი წარმართავს თავდაცვის ძალების გაერთიანებული შტაბის ფუნქციონირებას.

მიმდინარე ოპერაციები არის უშუალო დინამიკაში არსებული გამოწვევათა ერთობლიობა.

სამომავლო ოპერაციები წარმოადგენს მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია ვითარების მართვის წინმსწრები გეგმების განსასაზღვრად ვითარების ეფექტური მართვისთვის.

ფეთქებადსაშიში საფრთხეების კოორდინაცია არის მოქმედებები, რომლებსაც J-3 დეპარტამენტი ახორციელებს მათ მიერ გამოწვეული ზიანის შემცირების მიზნით. იქმნება შესაძლო ფეთქებადსაშიში საფრთხეების მონაცემთა ბაზა და პერიოდულად ხდება მისი განახლება.

J-3 დეპარტამენტი ახდენს ოპერაციების რაიონში არსებული წამყვანი ლიდერების შესახებ ინფორმაციის დეტალურ მომზადებას, საზოგადოების განწყობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას და

ლიდერებთან ურთიერთობების სასურველი ეფექტების მოდელირებას.

J-3 დეპარტამენტი პასუხისმგებელია ოპერაციეთა დაგეგმვისა და აღსრულების მიმდინარეობისას საკუთარი და ნეიტრალური ძალების უსაფრთხოების პრევენციაზე და იღებს შესაბამის ზომებს.

J-3 დეპარტამენტი ახორციელებს მონიტორინგს ნებისმიერი მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით.

საინფორმაციო ოპერაციები იმ ფუნქციების ერთობლიობაა, რომელათა კოორდინირებული მოქმედებების შედეგადაც J-3 დეპარტამენტი განაპირობების თავდაცვის ძალების მეთაურის მიზნების მიღწევას. კერძოდ, პოტენციურ მოწინააღმდეგესა და განსაზღვრულ სამიზნე აუდიტორიებზე, საინფორმაციო პროცესებსა და სისტემებზე ახენს საჭირო ზემოქმედებას.

სამოქალაქო-სამხედრო ოპერაციები წარმოადგენს ყველა სახის სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების თავდაცვის ძალების მიზნების სასიკეთოდ გამოყენებას.

J-3 დეპარტამენტი გეგმავს და ითვალისწინებს თავდაცვის ძალების სტრუქტურაში შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის შესაბამისი მართვის სქემისა და დებულებების ჩართვას ყოველდღიულ ანალიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

სამხედრო ინსტრუქტორების ტაქტიკა და ოპერატიული ხელოვნება შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საერთაშორისო სამართლებლივ ნორმებთან, რადგან ქვედანაყოფის მართვა არის უფლებამოსილება, რომელსაც სამხედრო მეთაური იყენებს კანონის საფუძველზე დაქვემდებარებული ძალების მიმართ თავისი წოდებისა და თანამდებობის შესაბამისად.

აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად და თავდაცვის ძალების მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად არსებობს საერთაშორისო სამართლითა და ნატოს სტანდარტებით გამყარებული ქვედანაყოფის მართვის პროცედურები, რომლებიც ერთიანია ყველა ნატოს პარტნიორი და წევრი ქვეყნისთვის.

ლოგისტიკა (J-4)

J-4 ლოგისტიკის დეპარტამენტი პასუხისმგებელია მომარაგების, ტრანსპორტირების, ინფრასტრუქტურის, ზოგად საინჟინრო მომსახურებაზე, ტექნიკური და ჯანდაცვის მომსახურების მხარდაჭერაზე, ლოგისტიკური ოპერაციების კოორდინაციასა და ზედამხედველობაზე. მას გააჩნია შესაბამის კლასებზე ორიენტირებული უზრუნველყოფის და საგანმანათლებლო სისტემა, რომლის მეშვეობითაც თავისი გვარეობრივი განხრის საშტაბო სამსახურებსა და სპეციფიურ ქვედანაყოფებს მართავს, აკონტროლებს და უწესებს კრიტერიუმებს.

იგი ასევე პასუხისმგებელია თავდაცვის ძალების მეთაურისათვის შეთავაზებული სამოქმედო გეგმებისა და ოპერაციების ლოგისტიკური მხარდაჭერის კონცეფციების შესახებ რჩევების მიცემაზე.

ლოგისტიკა არის მეცნიერება, ძალების გადაადგილებისა და შენარჩუნების დაგეგმვისა და აღსრულების შესახებ. ლოგიკისტიკა მოიცავს საშუალებებისა და ძალების დაგეგმვას, მომზადებასა და მოქმედებებში ჩაბმას უზრუნველყოფის მიზნით.

ლოგისტიკა უნდა ეყრდნობოდეს არსებულ პრიორიტეტებსა და მოთხოვნებს. ლოგისტიკა საბრძოლო ძალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ლოგისტიკა არის თავდაცვის ძალების მხარდაჭერის მიზნით ორი ან მეტი სახეობის ლოგისტიკური რესურსის კოორდინირებული გამოყენება, სინქრონიზაცია და განაწილება. J-4 დეპარტამენტი ახორციელებს თავდაცვის ძალების ბალანსზე არსებული ქონების აღრიცხვასა და მონიტორინგს და საჭირო მატერიალურ/ტექნიკური საშუალებების დროულ შესყიდვასა და განაწილებას.

ლოგისტიკური რესურსების ინტეგრირება და სინქრონიზაცია თავდაცვის ძალებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან მნიშვნელოვანია საბრძოლო მზადყოფნის მისაღწევად, რაც თავდაცვის ძალებს აძლევს ოპერატიულ გარემოში ადაპტირების შესაძლებლობასა და მოქმედების თავისუფლებას.

გეგმები (J-5)

გენერალური შტაბის J-5, გეგმები, წარმოადგენს თავდაცვის ძალების ძირითადი მიმართულებების, როგორც საგანმანათლებლო ისე, ოპერაციების კუთხით განმსაზღვრელ და დამგეგმავ ორგანოს. იგი წარმოდგენილია გეგმების შემუშავების ცენტრის სახით, სადაც ჩამოყალიბებულია სამხედრო სტრატეგიის დაგეგმვის ჯგუფი. იგი ახდენს სტრატეგიული პოლიტიკის ამსახველ და ეროვნული დოკუმენტების ანალიზს, ინტერპრეტაციას, გავრცელებას და მათთან დაკავშირებულ რეკომენდაციების მომზადებას, თავდაცვის ძალების მეთაურის გეგმების, მითითებებისა და ინსტრუქციების უერთიერთთავსებადობის უზრუნველსაყოფად. აგრეთვე, ახდენს თავდაცვის ძალების მეთაურის მიერ დადებული შეთანხმებებისა და მემორანდუმების ქმედითობის შენარჩუნებას, კოორდინირებას, კონტროლს და ასლების შენახვას.

გენერალური შტაბის J-5, გეგმები, უზრუნველყოფს თავდაცვის ძალების სამხედრო ოპერაციების სამხედრო-სტრატეგიულ ზედამხედველობას. ქვემოთ მოცემულია მისი ზოგადი პასუხისმგებლობები:

- გენერალური შტაბის J-5-ის, გეგმების, პირადი შემადგენლობის განსაზღვრა სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად;
- სამომავლო გეგმების გადახედვა და კოორდინაცია თავდაცვის ძალების მეთაურისთვის დაკისრებული ამოცანის მხარდაჭერის მიზნით;
- საფრთხეებსა და კრიზისზე ორიენტირებული გეგმების შემუშავების ხელმძღვანელობა;
- მიმდინარე ოპერაციების აღსრულების ფაზაში სამომავლო ოპერაციების ფაზების დაგეგმვა და კოორდინაცია;
- კოორდინაცია როგორც ზემდგომებთან, ისე თავდაცვის ძალების სტრუქტურული ერთეულების შტაბებსა და უწყებათშორის კოორდინაციის ჯგუფთან;

- საჭირო და ხელმისაწვდომი ძალებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა, ასევე სტრატეგიული და ოპერატიული დონის ძალთა გადაადგილების დაგეგმვა შერჩეული სამოქმედო გეგმის მხარდაჭერის მიზნით;
- დარწმუნება იმაში, რომ ძალების შემადგენლობის ჩამოყალიბების შესახებ მოთხოვნები გათვალისწინებულია ძალთა დაგეგმვის პროცესში;
- გენერალური შტაბის J-3-ის, ოპერაციების, დახმარება გეგმებისა და ბრძანებების მომზადებაში;
- თანამშრომლობა გენერალური შტაბის J-3-სა, ოპერაციებსა, და იურისტთან ოპერატიული შეზღუდვების შემუშავების დროს;
- გენერალური შტაბის J-3-თან, ოპერაციებთან, რეკომენდაცია და კოორდინაცია ეფექტურობისა და შესრულების საზომების თაობაზე;
- დაგეგმვის პროცესის კოორდინაცია და მასში თავდაცვის ძალების საერთო ამოცანასთან დაკავშირებული სხვა დაინტერესებული უწყებათშორისი, არასამთავრობო და მთავრობათშორისი მხარეების ინტეგრაცია (სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები);
- თავდაცვის ძალების მეთაურისთვის ვრცელი ხედვის მიწოდება რეგიონში არსებული სტრატეგიული ვითარების პერსპექტივის ან ბრძოლის წარმოების კონცეფციების შესახებ;
- თავდაცვის ძალების დაგეგმვის ჯგუფის ჩართულობით სამომავლო გეგმების შემუშავება და ზედამხედველობა.[1]

თავდაცვის ოპერაციის დაგეგმვის პროცესი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

1. დაგეგმვის დაწყება;
2. ამოცანის ანალიზი;

[1] დამტკიცებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ბრძანებით, გენერალური შტაბის ფორმირება სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულებისათვის (პირველი გამოცემა), თბილისი, 2018, 82-83

3. სამოქმედო გეგმების შედგენა;
4. სამოქმედო გეგმების ანალიზი;
5. სამოქმედო გეგმების შედარება და შერჩევა;
6. სამოქმედო გეგმების დამტკიცება;
7. ოპერატიული გეგმის/ბრძანების შემუშავება/გამოცემა.

კავშირგაბმულობა (J-6)

J-6, კავშირგაბმულობის დეპარტამენტი მოიცავს კომპიუტერული ტექნოლოგიების სისტემების შექმნას და ინტეგრაციას, გეგმების შემუშავებას და თავისი კუთხით თავდაცვის ძალების ოპერატიული და სტრატეგიული მოთხოვნების მხარდაჭერას.

J-6, კავშირგაბმულობის დეპარტამენტი მხარს უჭერს თავდაცვის ძალების მეთაურს კომპიუტერულ ქსელებთან, კიბერუსაფრთხოებასთან, კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურასთან, კავშირგაბმულობის ელექტრონულ საშუალებებთან და ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების შესრულებაში. მოქმედებს ურთიერთთავსებადი კავშირგაბმულობისა და ინტეგრაციის შესახებ პრინციპებით, ხელს უწყობს ამოცანის აღსრულებისას ეფექტურ მართვას, ასრულებს დეპარტამენტებსა და ქვედანაყოფებს შორის ურთიერთხელშემწყობ საინფორმაციო გარემოს უზრუნველმყოფელ ფუნქციას, ეხმარება დაგეგმვასა და აღსრულებაში თავდაცვის ძალების ყველა გვარეობის შტაბებსა და ქვედანაყოფებს, როგორც ვერტიკალურად ისე ჰორიზონტალურად.

კავშირგაბმულობის ძირითადი დანიშნულებაა ყველა დონეზე მეთაურების დახმარება სამხედრო ოპერაციების დაგეგმვაში, ჩატარებასა და შენარჩნებაში. იგი

ეფექტური მართვითა და კონტროლით ახდენს ოპერატიული საშუალებების სწორ გამოყენებასა, ინტეგრაციას და უზრუნველყოფს ურთიერთკავშირს. მას ასევე გააჩნია დამატებითი ფუნქციები. როგორიცაა: მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება, გადაცემა, დამუშავება, დაცვა, გავრცელება და აღნიშნული საქმიანობისათვის ძირითადი საშუალებების უზრუნველყოფა.

კავშირგაბმულობის სისტემა, როგორც წესი, ფოკუსირებულია თავდაცვის ძალების ოპერაციებზე, მშვიდობიანობის დროს აქტიურად უჭერს მხარს სპეციალურ ოპერაციებს, ლოგისტიკასა და დაზვერვას, და საჭიროების შემთხვევაში კავშირს ამყარებს სხვა სახელმწიფო უწყებებთან ნებისმიერ არასამთავრობო თუ ოპერაციაში ჩართულ ან ოპერაციისთვის სხვაგვარად მნიშვნელოვან ორგანიზაციებებთან.

მეთაურები ხელსაყრელ ინფორმაციას იყენებენ სამხედრო ოპერაციებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად და მოქმედებათა კოორდინაციისთვის. კავშირგაბმულობის გვარეობა იძლევა აღსრულების კონტროლის საშუალებას.

კავშირგაბმულობის გვარეობა უნდა იყოს კომპლექსური და სისტემების შეუზღუდავი რესურსებით. მისი დიზაინი უნდა ეფუძნებოდეს ხარისხიანი ინფორმაციის უწყვეტ საჭიროებას და მისი ძირითადი კრიტერიუმები უნდა იყოს სიზუსტე და შესაბამისობა.

საბრძოლო მომზადება და სამხედრო განათლება (J-7)

საბრძოლო მომზადება და სამხედრო განათლება ეხმარება თავდაცვის ძალების მეთაურს გენერალური შტაბისა და სამხედრო ოპერაციებისთვის გამოყოფილი ძალების საბრძოლო მომზადების დაგეგმვასა და აღსრულებაში. საბრძოლო

მზადყოფნის დონის ამაღლებასა და დასახული ამოცანების წარმატებით აღსრულებაში. იგი წარმოადგენს საბრძოლო მზადყოფნის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. საომარი მდგომარეობის დროს J-7-ის, საბრძოლო მომზადებისა და სამხედრო განათლების, სტრუქტურული ორგანიზება დამოკიდებულია თავდაცვის ძალების მეთაურის გადაწყვეტილებაზე. ის ყალიბდება გრძელვადიანი ამოცანის შემსრულებელ თავდაცვის ძალების გენერალურ შტაბში.

გენერალური შტაბის სტრუქტურული ერთეულების და მათი დაქვემდებარებული ქვედანაყოფების ხელმძღვანელი პირები ატარებენ შესაბამის წვრთნებს და რწმუნდებიან პერსონალის მზადყოფნაში, რათა აღასრულონ დაკისრებული მოვალეობები. ქვედანაყოფების დონეზე წვრთნებს აქვს ყოველწლიური გეგმიური ხასიათი, დასახული მიზნები და წინასწარ განსაზღვრული წარმოსახვითი დონეები, რომელთა მიღწევასაც ყოველწლიურად ესწრაფვიან და სრულყოფენ. ეს მზადყოფნის კრიტერიუმები განსაზღვრავს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ერთობლივი წვრთნების დიზაინს.

არსებობს წვრთნის ორი ტიპი: ინდივიდუალური წვრთნები და კოლექტიური წვრთნები.

ინდივიდუალური წვრთნები არის ცალკეული პირების მომზადება და ფორმირება კონრეტული ფუნქციების შესასრულებლად ან ზოგადად თავდაცვის ძალების რიგებში ყოფნისთვის. ეს შეიძლება იყოს რეკრუტირებისას ჩატარებული წვრთნები, სამხედრო სპეციალური ან სამხედრო უმაღლესი განათლების წვრთნები და ა.შ.

კოლექტიური წვრთნები არის ინსტრუქტაჟი და შესაბამისი ვარჯიშები, რომლის მიხედვითაც გენერალური შტაბის სტრუქტურული ერთეულები, ქვედანაყოფები და თავად გენერალური შტაბი სინქრონულად მზადდებიან.

J-7, საბრძოლო მომზადება და სამხედრო განათლების უფლებამოსილების ფარგლებშია ქვეყნის თავდაცვის ძალების სამომავლო საგანმანათლებლო პოლიტიკა და ძირითადი მიმართულებები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ჩვენს შემთხვევაში

გამომდინარეობს ევრო-ატლანტიკური ქვეყნების სამხედრო-საგანმანათლებლო სტანდარტებიდან.

სამედიცინო ელემენტი

სამედიცინო დეპარტამენტი არის თავდაცვის ძალების სამედიცინო გამოწვევების, დაგეგმარებისა და აღმოფხვრის ორგანო.

სამედიცინო დეპარტამენტი პასუხისმგებელია სამედიცინო უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის გეგმების შემუშავებაზე, თავდაცვის ძალებში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შეფასებასა და სანიტარული გეგმების გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვაზე. საგანგებო მდგომარეობის დროს სამედიცინო დახმარების სტანდარტების მაქსიმალურ მიახლოებაზე მშვიდობიანობის დროს დადგენილ სტანდარტებთან.

იგი ახდენს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებსა და სტრუქტურულ ერთეულებში ტრავმებისა და ავადობის აღრიცხვასა და კონტროლს.

სამედიცინო დეპარტამენტი აკონტროლებს საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო ქონების მიღებას, აღრიცხვას, შენახვას, გაცემასა და აღნიშნული ქონებით თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მომარაგებას. თავდაცვის ძალების სამედიცინო გვარეობას უნდა უზრუნველყოს ოპერაციის რაიონის ან ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო ევაკუაციის ოპერაციების მაღალ დონეზე შესრულება. აღნიშნული გვარეობის წარმატება უზრუნველყოფს, არა მხოლოდ ადამიანის უფლებებიდან ძირითად, სიცოცხლის უფლების დაცვას, არამედ, დადებითად აისახება პერსონალის მოტივაციაზეც.

გამომდინარე თანამედროვე მსოფლიო გამოწვევიდან, სამედიცინო გვარეობის J-8 დეპარტამენტად ჩამოყალიბებას და მის სრულყოფა/გაძლიერებას, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. 2020 წლის მსოფლიო მოვლენებმა ნათელი გახადა, რომ, შეიარაღებული ძალების სამედიცინო გვარეობა უნდა იყოს უნარიანი, ჩაატაროს ფართომასშტაბიანი ოპერაციები. მას დასჭირდება სპეციფიკური დაგეგმვის ძლიერი სამსახურის არსებობა ისეთი საფრთხეების და გამოწვევების მართვისა და ნეიტრალიზებისთვის, როგორიცაა მაგალითად რეგიონალური ეპიდემიები და პანდემიები.

სამოქალაქო და მხარდამჭერი ოპერაციები

მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციები მოიცავს ყველა მრავალფუნქციურ ოპერაციას, რომელიც ტარდება მიუკერძოებლად, სახელმწიფოების ან ისეთი საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა გაერო, ევროკავშირი, აფრიკის კავშირი, ან ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), სამხედრო კონტინგენტების, დიპლომატიური და ჰუმანიტარული ორგანიზაციების მონაწილეობით, და რომლის მიზანია ხანგრძლივი პოლიტიკური დარეგულირების ან რაიმე სხვა კონკრეტული მიზნების მიღწევა.[1]

სრული სპექტრის ოპერაციებიდან ორი მათგანი, სამოქალაქო მხარდაჭერისა და სტაბილურობის ოპერაციები ხორციელდება ლოკალური და გლობალური

[1] ,,დამტკიცებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მეთაურის, ბრძანებით, მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები, თბილისი, 2019, 12

კატასტროფების პოლიტიკური კრიზისების და სამოქალაქო ომების შედეგად წარმოშობილი პრობლემების აღმოსაფხვრელად და დასარეგულირებლად.

სამოქალაქო მხარდაჭრის ოპერაციების მიზანია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების მოთხოვნების დაკმაყოფილება დროებით და მათი მხარდაჭერა, ვიდრე პარტნიორი ან კეთილგანწყობილი მთავრობა შეძლებს ჯარის დახმარების გარეშე თავისი ამოცანების შესრულებას.

სტაბილურობის ოპერაციები მოიცავს მოქმედებათ გარკვეულ დიაპაზონს და მიზნად ისახავს შესაბამისი პოლიტიკური ვითარების შექმნას. იგი, რა თქმა უნდა, ემყარება თავდაცვისა და თავდასხმის ოპერაციების პრინციპებს, უბრალოდ აქვს შედარებით დროში გაწელილი ხასიათი. მოიცავს თანმიმდევრულ და ძალდატანებით

მოქმედებებს, სამხედრო ძალების ფრთხილ ან შეზღუდულ გამოყენებას და გამოყენების მუქარას.

როგორც წესი, ამბოხებულები და ექსტრემისტული დაჯგუფებები მიმართავენ ტერორს, რომელთა მიზანი შეიძლება იყოს:

- ქაოსის შექმნის;
- დაუმორჩილებლობა;
- ხელისუფლების შესუსტება;
- მოსახლეობის დაშინება;
- მთავრობისა და ოპოზიციური ლიდერების მკვლელობა;
- პოლიციისა და სამხედრო ძალების კონტროლი და დაშინება, შეტევებზე მათი რეაგირების შესაძლებლობის შეზღუდვა;
- სამთავრობო რეპრესიების დაწყება.

ტერორისა და დესტაბილიზაციის საპასუხოდ განვითარებული ქვეყნები თავიანთ შეიარაღებულ ძალებს აგზავნიან სიტუაციის სტაბილიზებისა და ადგილზე არსებული მეგობრულად განწყობილი ძალებისა თუ ხელისუფლებების მხარდასაჭერად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განვითარებული ქვეყნების

შეიარაღებული ძალების უმრავლესობის ორგანიზება და მომზადება ხორციელდება ზემოდ მოცემული სქემის მიხედვით. მათი მოქმედებები შეესაბამება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სტანდარტებს და ამავდროულად, შესწევთ უნარი სრული სპექტრის ოპერაციების ჩასატარებლად.

კოალიციური ძალები, როგორც წესი, ცდილობენ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერას, როგორც ლოგისტიკური ასევე საგანმანათლებლო მიმართულებით. სამოქალაქო მხარდაჭერისა და სტაბილურობის ოპერაციებისას ხდება არა სტაბილიზაციის აშკარა და დემონსტრირებული იძულება, არამედ უსაფრთხო გარემოს შექმნა, სადაც ადგილობრივი ძალები კოალიციური ძალების სამხედრო პერსონალისგან იღებენ რჩევებსა და მითითებებს არსებული კრიზისების დასაძლევად.

მას შემდეგ, რაც ურბანული პოპულაცია მსოფლიოში გაიზარდა ამბოხებულთა ქსელები კიდევ უფრო დაიხლართა და მათი მიდგომა გახდა ეფექტური. ისინი როგორც წერი, ქმნიან კონსპირაციულ ქსელს, რომელიც შედგება ახლო კავშირებისაგან – საოჯახო, რელიგიური გაერთიანებების, პოლიტიკური პარტიების ან სოციალური დაჯგუფებებისაგან. მსგავსი საქმიანობისათვის წინააღმდეგობის გაწევა რთულია და წარუმატებელია ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე.

დასკვნა

მსოფლიო შეიარაღებული ძალების არქიტექტურა საჭიროებს გადახედვას, კერძოდ, იდენტიფიცირებული უნდა იქნეს მომავლის გამოწვევები (კიბერგამოწვევები, კოსმოსური გამოწვევები, პანდემიები) და მათ მიხედვით იქნეს გვარეობები და დეპარტამენტები გაძლიერებული ან სულაც შემუშავებული ახალი გვარეობები და დეპარტამენტები. მაქსიმალურად უნდა შემცირდეს განსხვავება დეპარტამენტების და მათი პერსონალის კომპეტენციის სფეროებს შორის მათ მიერ მომიჯნავე სფეროების სამხერო განათლების მიღებით. უნდა მოხდეს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისა და განშტოებების მაქსიმალური უნივერსალიზაცია, როგორც მოქმედების სამ ძირითად სივრცეში, ისე მომავლის შესაძლო გამოწვევებთან მიმართებაში. მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია ნებისმიერი სიმძიმის კრიზისების დროს საერთაშორისო ურთიერთობებისთვის შედარებით სტაბილური გარემოს შექმნა. რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდა შეიარაღებულ ძალებს (თავდაცვის ძალებს), გარდა აღნიშნული მსოფლიო გამოწვევებისა, სჭირდება ტაქტიკური დონის (საველე წესდებების) გადახედვა და ნაწილობრივ პრეცენდენტური სისტემის შექმნა, რითაც ხელი შეეწყობა ამოცანით მართვის დანერგვას. ეს უკანასკნელი ფუნდამენტურია დიდი მხედრული შესაძლებლობების წინააღმდეგ პატარა რესურსების და მცირე მოცულობის დაპირისპირების შემთხვევებში. უნდა მიეწოდოს მეტი ინფორმაცია და განათლება სამოქალაქო საზოგადოებას შეიარაღებული ძალების არსის, მიზნებისა და კომპეტენციების შესახებ, რათა სამოქალაქო საზოგადოების მომსახურე შეიარაღებული ძალები და მის მაღალ ეფექტურობაზე დამოკიდებული სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება არ გადაიქცეს ანტაგონისტურ მხარეებად.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. ამბოხება და ამბოხების წინააღმდეგ ბრძოლა, ქართველ ინსტრუქტორთა ჯგუფი, თბილისი, 2008
2. აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლა, ქართველ ინსტრუქტორთა ჯგუფი, თბილისი, ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისი“, 2008
3. „დამტკიცებულია“ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ბრძანებით, გენერალური შტაბის ფორმირება სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულებისათვის (პირველი გამოცემა), თბილისი, 2018
4. არსენ გვიმრაძე, გეოპოლიტიკა, თბილისი, 2010
5. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, დაზვერვა, თბილისი 2016
6. „დამტკიცებულია“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მეთაურის ბრძანებით, ლოჯისტიკა, თბილისი, 2020
7. „დამტკიცებულია“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მეთაურის ბრძანებით, მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები, თბილისი, 2019
8. ნიკოლოზ (თემურ) მიქაუტაძე, პოლიტიკა და სამხედრო სტრატეგია, თბილისი, 2015
9. ოპერაციების პროცესი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი, სამეთაურო-საშტაბო სკოლა, თბილისი, 2013
10. „დამტკიცებულია“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მეთაურის ბრძანებით, საომარი მოქმედებების მარეგულირებელი

საერთაშორისო სამართლის ნორმების სახელმძღვანელო, თბილისი, 2019

11. „დამტკიცებულია“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მეთაურის ბრძანებით, საინფორმაციო ოპერაციები (პირველი რედაქტირებული გამოცემა), თბილისი, 2019
12. ნილს მილცერი, სამხედრო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობა, თბილისი 2019
13. ახალაშვილი, ნონა და ელვერ კუპატაძე, 2011, სამხედრო ფსიქოლოგიური მომზადება და პატრიოტული აღზრდა
14. „დამტკიცებულია“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მეთაურის ბრძანებით, საომარი მოქმედებების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლის ნორმების სახელმძღვანელო, თბილისი, 2019
15. სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი, ფსიქოლოგიურლი და საინფორმაციო ოპერაციები, თბილისი, 2011
16. გენერალ-მაიორი გია თორაძე, შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი, თბილისი, 2016
17. „დამტკიცებულია“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მეთაურის ბრძანებით, ძალის გამოყენების წესები, თბილისი, 2017
18. Schreurs, Bert and Fariya Syed, A Model of Military Recruitment, 2014

    https://www.researchgate.net/publication/228599894_A_Model_of_Military_Recruitment
19. Headquarters, Departent of the Army, April 2014, FM 1-0 Human resources Support

    https://fas.org/irp/doddir/army/fm1-0.pdf
20. Headquarters, Departent of the Army, July 2019, ADP 2-0 Intelligence

    https://fas.org/irp/doddir/army/adp2_0.pdf

21. Backgrounder, Logistrics Support for NATO Operations, February 2006

https://www.nato.int/nato_static/assets/pdf/pdf_publications/20120116_logistics-e.pdf

22. Lieutenant Colonel RenéOrellana, NATO Operations Planning Process, Kiev, Ukraine, 18-22 April 2016

23. Marina Nuciari, Models and Explanations for Military Organization. An Updated Reconsideration

https://www.researchgate.net/publication/225220154_Models_and_Explanations_for_Military_Organization_An_Updated_Reconsideration

24. Friedrich W. Korkisch, NATO Gets Better Intelligence, Center for Foreign and Defense Policy, Vienna, April 2010

https://www.natowatch.org/sites/default/files/NATO_Gets_Better_Intell_April_PDP_0.pdf

25. National Counterintelligence and Security Center, National Counterintelligence Strategy of the United States of America 2020-2022

https://www.dni.gov/files/NCSC/documents/features/20200205-National_CI_Strategy_2020_2022.pdf

26. Headquarters, Departent of the Army, October 2017, FM 3-0 Operations

https://fas.org/irp/doddir/army/fm3-0.pdf

27. Headquarters, Departent of the Army, March 2010, The Operations Process

https://fas.org/irp/doddir/army/fm5-0.pdf

28. Headquarters, Departent of the Army, March 2013, Special Forces Guide to Information Operations

https://info.publicintelligence.net/USArmy-SpecialForcesIO.pdf

29. Headquarters, Departent of the Army, July 2019, FM 4-0 Sustainment Operations

https://armypubs.army.mil/epubs/DR_pubs/DR_a/pdf/web/ARN19602_FM%204-0%20FINAL%20WEB%20v2.pdf

30. Joint Task Force Headquarters, 31 January 2018

https://www.jcs.mil/Portals/36/Documents/Doctrine/pubs/jp3_33.pdf